



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 112

2011 წლის 30 აგვისტო
ქალაქი ხაშური

ქ. ხაშურში, კოსტავას ქუჩაზე მდებარე 2754 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (სკვერის) დასვენების ზონად არ დადგენის შესახებ

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 22.08.2011 წლის №06/18514 წერილით გვთხოვენ საკითხის დასმას სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ქალაქ ხაშურში, კოსტავას ქუჩაზე მდებარე 2754 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №69.08.58.028) სახელმწიფოს სასარგებლოდ მიტოვების შესახებ.

„ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად, თვითმმართველი ერთეული თავის საკუთრებაში არსებულ ქონებას განკარგავს „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 184-ე მუხლი ითვალისწინებს უძრავ ნივთზე საკუთრების ან სხვა უფლების მიტოვების შესაძლებლობას.

ქალაქ ხაშურში, კოსტავას ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი N 69.08.58.028) წარმოადგენს დასვენების ზონის ტერიტორიას, თუმცა მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნული ტერიტორია სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე იქნეს გამოყენებული.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 184-ე მუხლის საფუძველზე :

1. სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე არ განისაზღვროს დასვენების ზონად ქალაქ ხაშურში, კოსტავას ქუჩაზე მდებარე 2754 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №69.08.58.028).
2. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. განკარგულების შეიძლება გასაჩივრედეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (ხაშური, ტაბიძის ქ. N2), ხოლო შემდგომ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ.ხაშური, კოსტავას ქ.N15).

საკრებულოს თავმჯდომარე



 დავით ლომიძე